№ 167
ხუთშაბათი, 3 აგვისტო, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 167
ხუთშაბათი, 3 აგვისტო, 1900 წ.

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 2 7

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გ მავრც. საზოგადოების კანცელარიის
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე
16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის" ტელეფონი № 227

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1900—1901 სა მოსწავლო წლის შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო გეოგრაფია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუღალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ვ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—133—1)3

## ფოთის საბუღალტერო კურსები

ქ. გიგინეიშვილისა.

ახალ შემომსვლელთაგან თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდგან. მსურველთ პირობები და პროგრამები გაეგზავნება მუქთად. (15—6.—10)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

პ. ი. ჯიჯინაძე.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი—9—10 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

მ. ა. პოკროვსკი—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ვ. ზ. წერეთელი, 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

მ. ლ. მარკევიჩი—12½—1½ საათ. სადოსტაქრო.

ი. დ. გეგთაგეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—11½—12½ საათ.

საღამოთი:

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

მიხეილ ალექსანდრეს-ძე

## ნასიძე

15 ივლისიდამ ამა წლისა იცხოვრებს მუდმივად ქ. სიღნაღში.

შეუდგენს მსურველთ ყველანაირ ქაღალდებს და დაიცავს სისხლის სამართალში მიცემულ პირთ სასამართლოებში.

მთხოვნელებს მიიღებს დილით 8 საათიდამ 12-მდე და საღამოობით 5—7-მდე (30—უ.—13)

## ახალი ამბავი

*** რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ ამას წინად მიწადმოქმედების მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს მას წელს, ნოემბერს, ქ. ტფილისში გამართოს პირველი კრება კავკასიის მეაბრეშუმეთა და აბრეშუმის მწარმოებელთა. როგორც შევიტყეთ, ეს შუამდგომლობა ბ-ნ მინისტრს შეუწყნარებია.

## ფელეტონი

### სიმღერა

ზოგი კაცი ომბას ჰგავს,
მახეს აგებს მრავალ გვარსა,
იმით იჭერს და სისხლსა სწოვს
მტერს, მოყვარეს, მეგობარსა...

ზოგი კაცი მელასა ჰგავს,
ენა-ტკბილობს ყოველ ჟამსა,
მით ჰხიბლავს და საფლავს უთხრის
მტერს, მოყვარეს, მეგობარსა...

ზოგი კაცი ასპიდ გველს ჰგავს,
საქმეს სჩადის საზიზღარსა:
არვის ჰზოგავს, სუყველას ჰკბენს,
მტერს, მოყვარეს, მეგობარსა...

ცაო, ცაო, დაიჭექე,
რისხვის ზარი დაეც თავსა,
ვინც ჰღალატობს განურჩევლად
მტერს, მოყვარეს, მეგობარსა!..

ვ. რუხაძე

### მიმოხილვა

წარმართ ივერთა სარწმუნოებისა

ჩვენი მატიანენი ისე, როგორც სხვა ერთა მატიანენიც, უფრო დაწვრილებით მოგვითხრობენ ამა თუ იმ მეფის დაბადებას, ტახტზედ ასვლას, ომებსა და სიკვდილს; ასე რომ უმეტეს ყურადღებას ისინი აპყრობენ უფრო ისტორიის მოქალაქობრივ მხარეს. მაგრამ რაც შეეხება ქვეყნისა და ერის შინაგან ცხოვრებას, კულტურას, ამ ყოველის ისტორიის საუპირატესო გარემოებას, ისინი უჩუმდებიან და თუ რამ სთქვეს, ისიც წამოცდომით და იშვიათად. სწორედ ეს გარემოება არის მიზეზი, რომ წარმართ ქართველთა სარწმუნოებას ჰბურავს წყვდიადი ბნელი, რომლის გაფანტვას არა ერთის მკვლევარის გულმოდგინე შრომა სჭირია.

ჩვენ მწერალთა შორის ვახტანგ IV მეფემან და ვახუშტ და თეიმურაზ ბატონიშვილებმა უფრო გამოწვლილვით გვაუწყეს იმ საგნისა, რომლის მიმოხილვა გვწადია. მაგრამ მათ შორის ყველაზედ მეტი შრომა გასწია თეიმურაზმა. ამ ბატონიშვილმა, რომელსაც, როგორც უკანასკნელის ხნის ბაგრატოვანთა გვარეულობის წარმომადგენლებს, ასპარეზობა ემარჯვებოდა მწიგნობრობაში უფრო, ვიდრე მოქალაქობრივის ცხოვრების სარბიელზედ, დაგვიტევა ივერიის უძველესი ისტორია, სადაც, როგორც თითონვე აღიარებს წინასიტყვაობაში, შეუტანია ყველაფერი, რაც ყოფილა თქმულებად დარჩენილი ქართველთა ძველის ამბების შესახებ.

ახალ მწერალთა შორის უნდა მოვიხსენოთ მ. ბროსე, ს. ბარათაშვილი და დ. ბაქრაძე, რომელნიც ამავე საგანს შეჰხებიან, მაგრამ მათი ნაუწყები ცოტა რითიმე თუ განირჩევა ერთი მეორისაგან, რის გამო მკითხველს უჭირდება გაეცნოს ძველ ქართველთა წარმართობრივს სარწმუნოების ჭეშმარიტ ხასიათსა. ეს სარწმუნოება ველური წარმართობა იყო, თუ ცეცხლის კულტს წარმოადგენდა? ესა გვსურს განვმარტოთ ამ მიმოხილვაში ყოველის მასალის თანდათან შემოტანით, რაც ხელთა გვაქვს.

როგორც ზემოხსენებულნი მატიანენი მოგვითხრობენ, ქართველები ჯერ კიდევ ძველის ძველადგანვე სცნობდნენ ერთს ღმერთსა, რომელსაც თაყვანს სცემდნენ, და მხოლოდ შემდეგ დაუწყიათ კერპ-თაყვანისცემა და შემოუღიათ მრავალ-ღმერთობა. ივერიის კათალიკოზ-პატრიარქი არსენი გვაუწყებს ერთ ისეთ ამბავსაც, რომ ივერიელნი ძველად ფეტიშიზმის ხამებიც არ უნდა ყოფილიყვნენ, რადგანაც თურმე ხეებსა და ქვებს აღმერთებდნენ. ამ კულტს ივერიაში IV საუკუნემდე მოუხწევია, მაგრამ-კი გვგონია სულთ-მობრძავის ადამიანის მდგომარეობაში ყოფილა ჩავარდნილი და მიმდევარ-აღმსარებელიც მხოლოდ უცხო ტომელთა შორის ჰყოლია, რადგანაც წმ. მოციქულთა სწორ ნინოს, ივერიის განმანათლებელს, მემატიანის სიტყვისამებრ, უპოვნია ქალაქს ურბნისში ვიღაც უცხონი, რომელნიც, სხვათა შორის, ქვებსა და ხეებს თაყვანს სცემდნენ. ხოლო ვახუშტის თქმით, ძველ ქართველებს კაცთა ჭამაც-კი სჩვევიათ, რადგანაც თურმე საჭმელად ხმარობდნენ მიცვალებულთა გვამებს, რასაც ერთმანერთს დაესესხებოდნენ თურმე, როცა დასჭირდებოდათ. ამის გამო მეისტორიე თეიმურაზ ბატონიშვილი მოგვითხრობს, რომ საქართველოში, ყოველ მის კუთხეში, ტყეში თუ მინდვრად, უხვად იპოვებოდა სხვა-და-სხვა გვარი ხილი, პური, მცენარე, ნადირი და საქონელი, რაც შეეძლო მაშინდელ ქართველს გაუჭირვებლად ეშოვნა. მერე კიდევ მიცვალებულის გლოვა ქართველებმა ჩვეულებრივ უფრო დიდხანს იცოდნენ, ვიდრე სხვა ვინმე ხალხმა. როცა ვინმე მახლობელი მოუკვდებოდათ, მამაკაცნი შიშველა ტანს იშოლტვიდნენ, დედაკაცნი კი იმ დროს ცხელ ნაცარზედ სხდებოდენო. მიცვალებულ მამაკაცთა გვამებს საგმირო სამკაულებითა და საჭურვლით ამკობდნენ, მიცვალებულ დედაკაცთა გვამებს-კი საქალო სამკაულებითაო. ამ უკანასკნელებს პირში უწყობდნენ ოქროსა და ვერცხლსა და ამნაირის პატივისცემით ასაფლავებდნენო. მას გარდა პირისუფალნი წკნელისაგან სწნავდნენ პატარა კარვებს—ჯინებს, სამგლოვიაროდ ჰბურავდნენ და ზოგიერთები იმათში ხან და ხან მთელ წელიწადსაც ატარებდნენო. აი ამ მოსაზრების ძალით თეიმურაზს ძნელი დასაჯერებელი ჰგონია ვახუშტის ნაუწყები და გამარტებს, რომ ის ერი, რომელმაც ასეთი მძიმე გლოვა იცოდა მიცვალებულის ნათესავებისაო, არ იკადრებდა ადამიანის გვამი ეჭამა ანუ მიეცა სხვისთვის საჭმელადო. იმ მეისტორიესი თეიმურაზს მაშინაც-კი არ სჯერა, როცა იგი ამბობს, რომ კარსნელებს კოდმანელების ხუთი მკვდარი ჰპართებთო, და აგრეთვე დაუჯერებელი ჰგონია მცხეთელების თქმულება, რომლისამებრ ერთი სოფელი მეორეს თურმე მკვდრებს ასესხებდა საჭმელად. როგორც თითონ განმარტებს, ძველ საქართველოში ერთი სოფელი თუ ვერ შესძლებდა პატივსადებ მიზეზთა გამო მონაწილეობა მიეღო მტრის წინააღმდეგ ომში, მეორეს, მეზობლად მყოფს სოფელს სთხოვდა სამმრად გაეგზავნა იმდენი ჯარის-კაცი, რამდენიც ხვედრით ჰყავდა გასაწვევი. ამ გვარად იმ სოფელს დაევალებოდა საომრად გასვლა შემდეგ ომში. ომები რომ გათავდებოდა, ორთავ ლაშქრობის დროს დახოცილთა რიცხვს იანგარიშებდნენ და ის სოფელი, რომელსაც მეტი დახოცილი ადამიანი აღმოაჩნდებოდა, ვალად სდებდა მეორეს გადაეხადა იმდენივე.

მამასახლისების დროს ქართველნი თაყვანსა სცემდნენ მზეს, მთვარეს და ხუთ ვარსკვლავს, მაგრამ თავი-

კრებას საგნად ექმნება: 1, გამოარკვიოს აწინდელი მდგომარეობა და საჭიროებანი მეაბრეშუმეობის და აბრეშუმის წარმოებისა კავკასიაში; 2, გამონახოს ის საშუალებანი, რომლის შემწეობით შესაძლებელი იქმნება მეაბრეშუმეობის განვითარება და მრეწველობის ამ დარგის ნაწარმოებისათვის ბაზრის მოპოება. იმ მოხსენების დამწერთ, რომელთაც კრება მოიწონებს, ჯილდოები მიეცემათ, სახელდობრ: 1, ოქროს დიდი მედალი იმას, ვინც საუკეთესოდ აღწერს მეაბრეშუმეობის ან აბრეშუმის ვაჭრობის საქმის მდგომარეობას კავკასიაში; 2, ვერცხლის დიდი მედალი—ვინც ასევე აღწერს კავკასიის რომელსამე ცალკე ნაწილის მეაბრეშუმეობის მდგომარეობას; 3, ერთი დიდი და ერთი პატარა ოქროსი და სამიც ბრინჯაოს მედალი—სხვა საუკეთესო მოხსენებების დამწერთ. კრების დროს, რომელიც 15 დღეს გასტანს, მეაბრეშუმეობის ნაწარმოებთა გამოფენა იქმნება გამართული.

⁂ საერო განათლების სამინისტრომ მიჰმართა სახალხო სკოლების დირექციებს და სთხოვა შეგვატყობინეთ, რამდენად სასურველი და შესაძლებელია, რომ ყველა დაბალ სასწავლებელთან დაარსებულ იქმნას სასკოლო შემნახველი კასსაო.

⁂ ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ 1901 წელს ქ. სიმფეროპოლში (ყირიმშია) სრულიად რუსეთის მებაღეთა და მეღვინეთა კრება იქმნას გამართული.

⁂ უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით უწმ. სინოდის ობერ-პროკურორსა და საერო განათლების მინისტრს ნება მიეცათ შემოიღონ, თუ საჭიროდ დაინახავენ, სასოფლო მეურნეობის ან რომელისამე იმის დარგის სწავლება სამასწავლებლო სემინარიებსა, საეკლესიო სამასწავლებლო სკოლებსა და აგრეთვე იმ მეორე კლასიან სკოლებში, რომელსაც საკმაო მიწა აღმოაჩნდება ამისათვის.

⁂ რადგანაც საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის აღსანიშნავად 1901 წელს განზრახულ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა საიუბილეო გამოფენის დრო მოახლოვდა, და ჯერ ამ გამოფენისათვის პროგრამმაც არ არის შემუშავებული, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ გარდასწყვიტა, მომავალ სექტემბრამდის დაასრულოს გამოფენის პროგრამის პროექტის შემუშავება. შემდეგ ამ პროექტს სათანადო მთავრობას წარუდგენენ დასამტკიცებლად.

⁂ ტფილისის მეორე საქალებო გიმნაზიის დირექტორი აცხადებს, რომ თავისუფალი ვაკანსიები მოიპოვება ხსენებულ გიმნაზიაში მხოლოდ მოსამზადებელსა და პირველ კლასებში. ამ გიმნაზიაში მისაღები ეგზამენები იქმნება 24-სა და 26 აგვისტოს.

⁂ სამხედრო მთავრობა კავკასიიდგან ათ სამხედრო მკურნალამდე ჰგზავნის შორეულ აღმოსავლეთში, იქ, სადაც ამ ჟამად რუსეთის ჯარს ბრძოლა აქვს ჩინელებთან.

⁂ უმაღლეს მთავრობას გადაუწყვეტია განათლების ცენზი დააწესოს იმათთვის, ვისაც ჰსურს რკინის გზებზედ სადგურის უფროსის თანაშემწისა, ან კასსირის თანამდებობაზედ იმსახუროს.

⁂ 22 ივლისს, სოფელ ქარელში, ამ სოფელში განზრახულ წიგნთსაცავის სასარგებლოდ, თავ. ციციშვილების კანტორაში საცეკვაო საღამო გაუმართავთ. საღამოს დიდძალი ხალხი დასწრებია. სტუმრები მახლობელ სოფლებიდგან ჩასულან, აგრეთვე გორიდგან, სურამიდგან და სხვა ადგილებიდგან.

⁂ საელექტრო საზოგადოების „უნიონის“ წარმომადგენელს ბარათები გაუგზავნია ამას წინად ტფილისის სახლის პატრონებისათვის და უცნობებია, შევუდექი ქართველ თავად-აზნაურთა ქარვასლაში ელექტრონის სადგურის გამართვას, როგორც ამ ქარვასლის, აგრეთვე, სურვილისამებრ, სასახლის, სოლოლაკის, ფრეილინის და ლაბორატორნის ქუჩებზედ არსებულ სახლების გასანათებლადაო. ამის გამო „უნიონის“ წარმომადგენელი ეხლავე იწვევს მოსალაპარაკებლად იმათ, ვისაც ჰსურთ ისარგებლონ ელექტრონით. ქალაქის გამგეობას, გაუგია-რა ეს ამბავი, მიუმართავს ტფილისის გუბერნატორის აღმასრულებელისთვის და უცნობებია, რომ ასეთი საქმის დაწყება ქალაქის თვით-მმართველობის ნებადაურთველად არავისა აქვს, და უთხოვნია, შესაფერი ზომები იქნას მიღებული, რომ მცხოვრებნი შეცდომაში არ იქმნენ შეყვანილნიო.

⁂ ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ მთავრობის მიერ დანიშნულ იქმნას ყველა ქალაქში განსაკუთრებული ინსპექციები, რომელთაც ქალაქს და ქალაქს გარედ თვალ-ყური ადევნონ საელექტრო-ტეხნიკო დაწესებულებათ.

⁂ წარსულ ივლისის თვეში, როგორც სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის მიერ შეკრებილ ცნობებიდგან სჩანს, ტფილისში ავად გამხდარა: სოოფლეთი—15 კაცი, ყელზორკებით—3, ყვავილით—3 და წითელათი—3.

⁂ ბაქოში მცხოვრებ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების ქვეშევრდომს იოსებ დე-ვიტტს შუამდგომლობა აღუძრავს უმაღლეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს მას დაარსოს ამხანაგობა მექანიკურ ეტლების გასამართავად ბაქოსა და ბალახანა საბუნჩისა და რომანინის ნავთის საწარმოებელ ადგილებს შუა სასიარულოდ.

⁂ 31 ივლისს, პოლიციის მე-10 ნაწილში, ტფილისის მოქალაქემ გიორგი სიმონის ძემ ლოლაძემ თავის ტრაქტირში, ბალის ქუჩაზედ, ემინოვის სახლებში, ჩხუბის დროს დანით დასჭრა სამგან ზურგში ტფილისისავე მოქალაქე სტეფანე მინასოვი. დაჭრილს მინასოვს სამკურნალო შემწეობა აღმოეჩინა.

⁂ კვირას, 30 ივლისს, პოლიციის მე-10 ნაწილში ერთი ვიღაც უცნობი კაცი, რომელიც ადგილობრივი მცხოვრებელი უნდა იყოს, ჩასულა მტკვარში საბანაოდ; წყალს ღრმა ადგილში ჩაუთრევია და დაუხრჩვია. დამხრჩვალის გვამი მუშტაიდის ბაღის პირდაპირ გამოიტანეს წყლიდგან და მიხეილის სამკურნალოს საანატომიო განყოფილებაში გაგზავნეს.

⁂ ორშაბათს, 31 ივლისს, პოლიციის მე-4 ნაწილში ბაღის ქუჩაზედ, მკურნალ ქოჩორიანცის სახლებში, ნაფიც ვექილის იუზბაშევის ბინაზედ, მის შინ არ ყოფნის დროს, გაუტეხია ვიღაც ბოროტ-განმზრახველს ფანჯარა, შეპარულა სახლში, ამოუღია საწერ მაგიდის უჯრიდგან ბრილიანტის საყურეები, ღირებული 100 მან. და სადღაც მიმალულა. ეჭვი განაცხადეს იუზბაშევის ყოფილ მოსამსახურე ბიჭზე, სახელად პროკოპიზე (გვარი არ იციან).

⁂ სამშაბათს, 1 აგვისტოს, პოლიციის მე-9 ნაწილში, შემდეგი ქურდობა აღმოაჩინეს: პოლიციის მოხელეს ოსიპოვს შეუტყვია, რომ ადელხანოვის ნაბდეულობის ფაბრიკიდგან მე 6 პოლიციის ნაწილში დრო-გამოშვებით იპარავდნენ ვიღაც ქურდები სხვა და სხვა ნივთებს. ამასთანავე ოსიპოვს გაუგია, რომ ვითომც ქურდობას ისევ ქარხნის მუშები ჩადიოდენ, რომელნიც გარეშე კაცებს აძლევდნენ მოპარულს საქონელს გასასყიდად. 1 აგვისტოს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურზედ პოლიციის მოხელემ ოსიპოვმა დააპატიმრა ტფილისის მცხოვრებნი არტემა ღონიანცი და დარჩო სადაგოვი სამის რაღაც ნივთებით გატენილის ტომრით. როცა ტომრები გაუხსნიათ, შიგ აღმოჩენილა 290 ცალი ახალი ნაბდის ქუდი და 69 ახალი შარვალი. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, ქუდები მოუპარავთ ადელხანოვის ქარხნიდგან, ხოლო შარვლები პოლიციის მესამე ნაწილში ტფილისის მოქალაქეთა ნიკოლოზ ტერ-პოღოსოვისა და ასლან გრიკუროვის მაღაზიიდგან. დაპატიმრებულთ განაცხადეს, რომ ეს ნივთები სხვათაგან შევიძინეთ, ხოლო არ შეგვიძლიან-კი მათი ვინაობის დასახელებაო. საქმის გამოძიებას უკვე შეუდგნენ.

⁂ 1 აგვისტოს, კრასილნის ქუჩაზედ ტფილისის მცხოვრებელმა ვასილ მღებრიშვილმა ჩხუბის დროს დასჭრა დანით მუცელში ტფილისისავე მცხოვრებელი დავით გალბედიანი; დაჭრილს სამკურნალო შემწეობა აღმოეჩინა.

# უცხოეთი

**ჩინეთი.** გუშინ მოვიყვანეთ ზოგიერთ გაზეთის აზრი იმის შესახებ, თუ როგორ ჰფიქრობენ ჩინეთის მოკავშირეთა ჯარის პეკინში შესვლის შემდეგ. თვით სახელმწიფოთა აზრის შესახებ გაზეთები ჯერ არაფერს გადმოგვცემენ; მხოლოდ ეხლა „Daily Mail“-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი სწერს: „ნამდვილის წყაროდგან შევიტყე, რომ პეტერბურგის და ვაშინგტონის მთავრობის შორის დიდი მოლაპარაკება იყო ჩინეთის გამო. ამ მთავრობებმა უკვე გადასწყვიტეს უეჭველად დაიცვან ჩინეთის სიმრთელე და არავის არ დაანებონ არც ერთი ნაჭერი მიწა ამ სახელმწიფოსი“.

— მას შემდეგ, რაც მოკავშირეთა ჯარი პეკინისაკენ გაემართა, გაზეთებმა მოუხშირეს ლაპარაკი პეკინისა და იქ მიმავალ გზის შესახებ. ამ გაზეთების სიტყვით, როგორც თვით პეკინი, აგრეთვე გზაზედ მდებარე ქალაქები კარგად არის გამაგრებული და იმათი აღება დიდს ზარალს მიაყენებს მოკავშირეთა ჯარს. განსაკუთრებით პეკინი ყოფილა კარგად გამაგრებული. აი რას სწერს პოდპოლკოვნიკი გაგნერი, რომელიც რამდენსამე წელიწადს პეკინში სცხოვრობდა: „ჩინეთის სატახტო ქალაქი ყოველის მხრიდგან ისეთის მკვიდრის გალავნითა და სიმაგრეებით არის შემორტყმული, რომ იმის აღება თითქ-

---

ანთ მამამთავრის ქართლის *) სახელს, როგორც ღვთისას, ისე ჰფიცულობდნენ. ცის მნათობთა თაყვანისცემა კოლხეთში შემოტანილ იქმნა სეზოსტრის ეგვიპტელთა მეფის, ხოლო ივერიაში ალექსანდრე მაკედონელის მიერ, რომელსაც უბრძანებია აგრეთვე უხილავის ღვთის, ქვეყნის შემოქმედის თაყვანის ცემა. ეს კულტი, როგორც ვანის ლურსმულ ნაწერთა გარკვევამ აღმოაჩინა, უფრო განვითარებული ჰქონიათ ჩვენ წინაპარ ურართა **) თემსა, რომლის თაყვანსაცემ სამებას თურმე შეადგენდენ ღმერთები: უმთავრესი ხალდი (მთვარე), შემდეგ ბინ (ბრწყინვალე ცა) და მასუკან შამაშ (მზე). როგორც სეზოსტრისს, ისე ალექსანდრე მაკედონელს, ზემო ხსენებულის სარწმუნოების შემოღებით განზრახვა ჰქონიათ კეთილზნეობა მიენიჭებინათ თავიანთ ახალ ქვეშევრდომთათვის, რომელნიც უპოვიათ ურწმუნო და ურჯულო: ვინაიდგან ნათესაობა თურმე ხელს ალარ უშლიდა ქორწინებაში და მკვდრების დასაფლავებაც გადავარდნილიყო. კოლხნიო, ამბობს ჰეროდოტე (წიგნი VII, თავი 60), მკვდრებს-კი არ ასაფლავებენ, მხეცთათვის საჭმელად გამოჰკიდიანო. როგორც ეს ჩვეულება, ისე ქორწინებაც ახლო ნათესავებსა და და-ძმას შორისაც კიაო, დაასკვნის მეისტორიე ს. ბარათაშვილი, გვიჩვენებენ, რომ ზოროასტრის სარწმუნოება საქართველოში პატივცემული ყოფილა ჰეროდოტემდე კიდევ უფრო ადრეო, რადგანაც ესრეთი ზნეობა ვენდიდადის მოძღვრებისაგან მომდინარებდა და შეწყნარებული ჰქონდათ ბაქტრიას, ჰირკანიას და სხვა ქვეყნებსაც, სადაც ამ სარწმუნოებას განსაკუთრებულ პატივსა სცემდნენ. ზნეობა და სარწმუნოება ამ რიგად შეცვლილა მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოს ერს უმატნია ხაზართა შემოსევით VII საუკ. ქრ. წ. და განსაკუთრებით-კი საქართველოში ასურთა, ბერძენთა, თურანთა და სხვა ხალხების დაბინავებით, მიუღიათ რა გადმოსახლების ბრძანება კვიროს, სპარსთა მეფისაგან (536 წ. ქრ. წ.), რომელსაც, „ქართლის ცხოვრების“ თქმით, დაუპყრია სომხეთი და საქართველო და არდაბადაგანში აუშენებია ტაძარი სავედრებლად მათის სჯულისამებრ.

აზონ პატრიკი, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა განამწესა ივერიაში ქვეყნის გამგებლად, კაცთ მოძულე და მტარვალი გამოდგა, დაივიწყა მისის მბრძანებლის მიერ დადგენილი სარწმუნოება და ერს თავს მოახვია კერპთაყვანისცემა, აღუმართა რა ძეგლები ყოვლის დამფარველის გამომეძიებელ ვაჟ ღმერთებსა: გაცს ოქროსი და გაიმს ვერცხლისა. ამავე აზონს, ვახუშტის თქმით, შემოუღია აგრეთვე ადამიანის მსხვერპლად შეწირვა და ივერთათვის გაუჩენია ყრმათა დაზვარაკება ღმერთების საამებლად. უეჭველია ის ღმერთნი, რომელთა თაყვანისცემა აზონმა შემოიღო, უცხოქვეყნელნი იყვნენ, მაგრამ ძველ ქართველებს ჰყოლიათ თავიანთი საკუთარი ღმერთებიცა. ამათში უდიდესი და უპირველესი იყო ბოჩი, რომელიც ყოვლად სათაყვანო იყო მოგვობის შემოსვლამდე, ფარნავაზს ივერთა პირველ მეფის დროს (III საუკ. ქრ. შ-დე). ბოჩის შვიდი ხელი ესხა და თვითოეულითა ჰფლობდა კავკასიის ერთ შვიდ მწვერვალთაგანს. თვითოეულს ხელს განსაკუთრებული ძალა ჰქონდა შეწყალებისა თუ შერისხვისა. ამას გარდა ბოჩის შვიდი ხელი ჰნიშნავდა „დაბადების“ თარგამოს შვიდ შთამომავალსა, კავკასიის სხვა და სხვა ხალხთა ეპონიმებსა. ბოჩის ტაძარი, სხვა და სხვა შეწირულებით ფრიად გამდიდრებული, კოლხეთისა და აფხაზეთის საზღვარზედ იყო, ფიჩვის მთაზედ, სადაც მე-V საუკუნეში ქრ. აქეთ იუსტინიანე ბიზანტიის კეისარმა აღაშენებინა ხუროთ-მოძღვრების მხრით დიახ ჩინებული ტაძარი, რომელიც აქამომდე შეურყევლადა სდგას. ღმერთი ბოჩი წარმოადგენდა ცეცხლის კულტს და მოგვაგონებს ინდოურის მითოლოგიის ვაჰას მეტყველების ვოქს (ვოცის) ქალღმერთსა, რომელიც ითვლებოდა ღმერთთა დედოფლად და მოასწავებდა აგრეთვე ცეცხლსა, ქუხილისა და ელვა-ჭექის მბრძანებელს. ეს ინდოური ღვთაება ქართულ მითოლოგიაში, სახე-გამოცვლილი გადმოსულა იმავ სახელითა (ბ=ვ) და აღუნიშნავს იგივე დასაწყისი ცეცხლისა, მხოლოდ არა პირდაპირის გზით. ძველის ძველი ქართველი ისტორიის წინა დროების მომსწრე მეხის ტეხას უთუოდ დააბრალებდა კავკასიის უმწვერვალეს მთებს, თვალად დიადსა და ზარ-დამცემსა, რომელიც ზემოხსენებულ მოვლენას კიდევ უფრო ჰმატებს ზათქსა. სიტყვამ მოიტანა და ვთქვათ, რომ ინდოური ღმერთები ხან და ხან გადადიოდნენ სხვა ხალხში იმავე სახელით, მაგრამ იცვლიდნენ-კი დასაწყისს, რომელსაც წარმოადგენდნენ. მაგალითად, ღმერთები დევა ინდოეთში რომ მოასწავებდნენ კეთილ დასაწყისსა და საიდგანაც წარმოდგა ლათინური დეუს და ბერძნული თეოს, ირანულ მითოლოგიაში გადიქცნენ ბოროტ ღმერთებად და იქიდგან გადმოვიდნენ ქართულში იმავ ბოროტის დასაწყისით და დევის სახით, შესცვალეს რა მხოლოდ კიდური ასოები ა-ნი ი-ნად. აი მეორე მაგალითიც. ზენდური ღმერთი არიმან, რომელიც სპარსთა უძველეს სარწმუნოებაში ბოროტის დასაწყისს წარმოადგენდა და ორმუზდის წინააღმდეგი იყო, გადიქცა ქართველთ ამირანად, კეთილ ღმერთად და, როგორც ელლინთ პრომეთე, მიჯაჭვულ იქმნა კავკასიის ქედზედ, სადაც ძერა ღვიძლს უღრღნიდა. ერთი დევი, სახელად ბაყბაყი, როგორც ჩვენს ზღაპრებშია ნათქვამი, კიდეც შეებრძოლა ამირანს, მაგრამ დამარცხდა, როგორც ბოროტი სული.

პეტრე მირიანაშვილი

(შემდეგი იქნება).

*) ქართლის ეპონიმს სახელი რქმევია ქართლოსი-კი არა, როგორც შეცდომით გვაქვს მიღებული და ყალბის მქმნელთაგან მატიანეშია გარყვნილი, არამედ ქ ა რ თ ლ ი. იხ. ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყუნიასი გვ. 95. ესევე ითქმის სხვა ეპონიმებისათვისაც. საქართველოს თემთა ეპონიმების ბერძნული დაბოლოვება ოს სამუდამოდ უნდა იქმნას განდევნილი, როგორც ბარბაროსული, და აღდგენილი ქართულებ. მივაქცევთ ამ საგანზედ ჩვენ მეისტორიეთა ყურადღებას. ავტორი

**) ლურსმულ ნაწერთა „ურარტი“ ნათესაობითი ბრუნვაა მრავალ რიცხვისა სიტყვისაგან „ურარ“, ხოლო უკანასკნელი წარმოებულია სიტყვისაგან „ურ“, ისე როგორც „ოდიშარი“ სიტყვისაგან „ოდიში“. ჩვენებურ სიტყვაში „ერი“ მოისმის სწორედ ეს „ური“, რაც ცხადად სჩანს ჩვენის ქვეყნის სომხურ სახელწოდებიდან „ურასტან“ ანუ „ვრასტან“, ვითომდა ურეთი ანუ ვრეთი (უ=ვ) და აგრეთვე გამოსჭვირს ძველებურ ჩვენი ხალხის სომხურ სახელწოდებაში „ვირ“ მრ. რიცხვი ვირქ., საიდგანაც გადაკეთებულა კლასიკური ივერია. სიტყვა „ქართულად მოლაპარაკე“ სომხურად დღესაც ითარგმნება და ხალხიც ლაპარაკობს „ვირახოს“, რაც ჰნიშნავს ურისებრ მეტყველსა. ავტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას შეუძლებელია. ქალაქს ჯერ თხრილი აქვს შემოვლებული, მაგრამ ეს თხრილი ბევრი ვერაფერია. თხრილის შიგნით $10^3/_4$ მეტრის სიმაღლის გალავანია, ამ გალავანს შიგნით მეორე გალავანია. ეს მეორე გალავანი დაყრილ მიწაზეა აშენებული და ამიტომ 42 ფუტის სიმაღლე იქმნება, მარტო დაყრილი მიწა 19 მეტრის სიმაღლეა და ამდენივე სიგანით იქმნება. გალავანზედ ასვლა კიბითაც-კი ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ყოველს 100 ნაბიჯზედ კოშკებია გამართული თოფების სასროლად. ზარბაზნები კიდევ გამაგრებულ კარებეში სდგას. გალავნის კარებების ალებაც იერიშით შეუძლებელია, რადგანაც ამ კარებების შიგნით რიგ-რიგობით რამდენიმე სიმაგრეა გამართული, საიდგანაც შეიძლება როგორც თოფების, აგრეთვე ზარბაზნების სროლა. ამ რიგად მარტო ამ გალავნის ალება გაუძნელდება მოკავშირეთა ჯარს, მაგრამ ამ ორ პირველ გალავნის გარდა ორი სხვა გალავანიც არის: ერთი ჩინელებით დასახლებულ ქალაქ შიგნით მანჯურელებით დასახლებულ ქალაქს არტყია, მეორე კიდევ აგრეთ წოდებულ „საიმპერატორო ქალაქს“.

— ტიან-ძინს ამ ჟამად 6000 ევროპიელი, ამერიკელი და იაპონელი ჯარის-კაცი იცავს. მას შემდეგ რაც ამ ქალაქიდგან მოკავშირეთა დანარჩენი ჯარი გავიდა და პეკინისაკენ დაადგა გზას, ძალიან შიშობენ, ჩინელები ხელახლა არ დაეცნენ ტიან ძინს და არ აიღონ. ამბობენ, რომ ტიან-ძინის აღმოსავლეთ-სამხრეთით 15,000 ჩინელი სდგას, რომელნიც უპირებენ ქალაქს თავს დასხმასაო. ამას გარდა გაზეთების სიტყვით, იმპერატორს უკვე უბრძანებია სამხრეთ პროვინციების ჯარებისათვის, აიღეთ ტიან მინიო. საზოგადოდ, რაკი დარწმუნდნენ ჩინეთში, რომ მოკავშირენი თავისას არ იშლიან და ჯარსა ჰგზავნიან პეკინშიო, ადგილობრივი მთავრობა და მოხელენი დიდ მზადებას შეუდგნენ. იმის გარდა, რომ პეკინში თავს უყრიან დიდ-ძალ ჯარსა, სურსათსა და საომარ იარაღს, ჩინეთის მთავრობა ბრძანებას ბრძანებაზედ ჰგზავნის სამხრეთ პროვინციებში ჯარის შესაკრებად და ნანკინისა და სხვა თვალსაჩინო ადგილებისაკენ გასაგზავნად.

— 22 ივლისს რუსებმა აიღეს ნიუჩვანგი, უმთავრესი სავაჭრო ნავთსადგური ჩრდილოეთ ჩინეთში. ამ ქალაქში 70,000 მცხოვრები იქმნება. მთელი საგარეო ვაჭრობა მანჯურიისა ამ ნავთსადგურით სწარმოებს. ყოველ წელიწადს იქიდგან დიდძალი საქონელი გააქვთ და შემოაქვთ. 1895 წელს, მაგალითად, ამ ნავთსადგურიდგან შეიტანეს ჩინეთში 5-ნახევარ მილიონ მანეთის საქონელი და გაიტანეს 7 ნახევარ მილიონისა.

**სამხრეთ-აფრიკის ომი.** ევროპაში გამოგზავნილმა ბურების დეპუტაციამაც ვერაფერი გააწყო და ვერა გააკეთა რა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკების სასარგებლოდ. დეპუტაცია, როგორც ვიწყით, ჯერ ევროპაში მივიდა, იქიდგან ამერიკაში გადავიდა, შემდეგ ისევ უკან ევროპაში დაბრუნდა, პარიჟში იყო და ეხლა ბერლინშია. ამ დეპუტაციას ყველგან სიხარულითა და ალტაცებით ეგებოდნენ და ამავე დროს ყველა სახელმწიფოს მთავრობა ამას ეუბნებოდა, დიდის თანაგრძნობით, მაგრამ თქვენ სასარგებლოდ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლიანო. თუ სახელმწიფოებმა წინად ვერაფერი იღონეს დაზაგრულ რესპუბლიკათა სასარგებლოდ, მით უმეტეს ვერაფერს გააკეთებენ ეხლა, რადგან ყველას ჩინეთის საქმეები გამო საკუთარი თავში სცემი და სატკივარი აღმოუჩნდა. ამიტომ ამბობენ, რომ ეს დეპუტაცია ბერლინშიაც ვერაფერს გააწყობსო. ბერლინიდგან დეპუტაცია პირდაპირ პეტერბურგში წამოვა, აქაცა სცდის ბედს და მერე სამშობლოში დაბრუნდება.

— ჯარით რომ ვერ მოახერხეს ტრანსვაალის დაპყრობა, ინგლისელება ეხლა ფულით სცდილობენ ამ რესპუბლიკის ხელთ ჩაგდებას. აი რას გადმოგვცემს გაზეთი „Frankf. Zeit.“-ი: „თუმცა ინგლისი დაბეჯითებით აცხადებს, რომ ტრანსვაალის მთავრობა აღარ არსებობსო, მაგრამ ამის და მიუხედავად ეს „არ არსებული მთავრობა“ ხშირად ბრძანებებსა ჰსცემს ხოლმე. ასეთ ბრძანებებს ხელს სტატს-სეკრეტარი რეიცი აწერს. 10 ივნისს გამოცემულ ბრძანებაში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ ინგლისის მთავრობამ შემოუთვალა გენერლებს ლუი ბოტასა და დე-ლარეის, იარაღი დაჰყარეთ, ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლას თავი გაანებეთ და ყოველ წლიურ ჯამაგირს დაგინიშნავთო, წელიწადში 100,000 მანეთსაო. გენერლებმა შეუთვალეს, სიკვდილს ვარჩევთ და სამშობლოს-კი არ გავყიდითო“.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

შემდეგ ამბავს გადმოგვცემს გაზეთი „Крым. Кур.“-ი. რამდენისამე წლის წინად ოდესაში სცხოვრობდა ერთის მდიდარის ებრაელის გ—ვის ოჯახი. გ—ვს ერთად-ერთი ქალი ჰყვანდა, სახელად მინიონი, მეტად ლამაზი და მშვენიერი. თუმცა მინიონს ბევრი კარგი საქმრო აღმოუჩნდა, მაგრამ ქალმა არც ერთს ყურადღება არ მიაქცია. ერთ მშვენიერ დღეს სახლიდგან გაიპარა და თავისს მამის ერთ ნოქართან სადღაც გაჰქრა. დედ-მამას არაფრის გულისათვის არ უნდოდა თურმე ეს ნოქარი გაეხადნათ თავიანთ სიძედ. გავიდა ერთი თვე, ორი თვე, სამი, ოთხი, ათი, ერთი წელიწადი, მაგრამ ქალი მაინც არსადა სჩანდა. ამ ამბავმა მეტად ცუდად იმოქმედა გ—ვეზედ. მალე თვით გ—ვი გარდაცვლილა და ამის შემდეგ იმათი სავაჭრო საქმეები ისე ცუდად წასულა, რომ ცოლი ულუკმა-პუროდ დარჩენილა. მოხუცი დედაკაცი ერთ შორეულ ნათესავს შეუხიზნებია, მელიტოპოლიის მაზრაში მცხოვრებს, სადაც მოხუცი დედაკაცი დარდსა და ბოღმაში ატარებდა დღეებს. გაქცეულთა შესახებ მაინც არაფერი ისმოდა თურმე. ზოგი ამბობდა, ამერიკაში გაიქცნენო, ზოგი კიდევ რას, ასე და ამ რიგად 15 წელიწადს გაუვლია. ამ დროს მოხუც და ავადმყოფს დედაკაცს თეოდოსიაში ნათესავი მოჰკვდომია, რომელსაც 300 მანეთი დაუტოვებია იმისთვის. მოხუცი ფულის მისაღებად წასულა. სევასტოპოლში გემში ჩაჰჯდარა და ბაქანზედ პირველის კლასის კაიუტასთან მოთავსებულა. დაღონებული მოხუცი დედაკაცი იჯდა თურმე და ზღვას გაჰყურებდა. ამ დროს პირველის კლასის კაიუტიდგან მშვენივრად მორთული, ლამაზი მანდილოსანი გამოსულა და იქვე მოხუცის მახლობლად სკამზედ დამჯდარა. მოხუცს შეუხედნია, კანკალით ფეხზედ წამომდგარა და უთქვამს მანდილოსნისთვის: „მინიონ, ნუ თუ შენა ხარ?!.“ მანდილოსანი შემკრთალა, მერე გახარებული მიჰვარდნია დედას და კოცნა დაუწყია. როგორც აღმოჩნდა, მინიონის ქმარი ამერიკაში საშინლად გამდიდრებულა. ეხლა ქმართანა და შვილებთან ერთად ოდესაში მოსულა დედ-მამის სანახავად, უძებნია რამდენიმე კვირა, ვერსად უპოვნია და ვერც არა გაუგია იმათ შესახებ. ამიტომ ოდესისთვის თავი მიუნებებიათ და ბათუმში წასულან სავაჭრო საქმეების გამო. ცოტა ხანს უკან ქალი, სიძე და ოთხი შვილის-შვილები სიხარულით შემოჰხვევიან მოხუცს. ეხლა-კი აღარ გაგიშვებთო, უთქვამს ქალს, და თან წაუყვანიათ გახარებული დედაკაცი.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი: ოა)

(დასასრული *)

მეორე წერილი საყურადღებოდ მიგვაჩნია და აქვე ამოვწერთ სრულად.

„სიტყუანი შესხმითნი

მცირე და ყ-დ უნდოჲ ს-დ საქართველოჲსა მეფისა ირაკლი მეორისა ძისა გიორგის ძისა დავითისადმი: ოდეს მოიქცა ძლევით აგარიანთაგან: ყ-დ მდაბლისა და უღირსისა პროტო პრეზვიტერისა სოლომონის მიერ 1789, ოკდ. კთ:

„მის ერთისა საუკუნოსა არსისა, რომელი სამოთხესა შინა ცნობილ ექმნა ძუძლ სადამე წინაპარსა შენსა მამათმთავარსა და ძის ძე მისი იქმნა მცნობელ და იკურთხა საყოფელი ისრაილ მცნობელისა საყოფელთა უკუჲ ისრაილ მამისა შენისათა იქმენ ვრცელ და შეიმუსრნეთ კაპარჭნი მტერთა შენთანი მარჯუჳნითა მაღლისად და მკვლავითა ძლიერებისა მისისათა.

„იმრთელე, კელმწიფეო ჩემო, მთლოცვითნი ესე აღნაქვსნი ყ-დ მდაბლისა და უღირსისა მონისა მიერ შენისა და მადლი იესოსი იყავნ მკვდრებულ შენთანა მდიდრად.

„მოულოცავ ძლევასა ძლევა შემოსილსა განათლებულებასა შენსა, რომელი აღიპყრევე, ვითარცა ისო ძალითა სულისა ღუთისათა, წინამძღუანელი ახლისა ამის ისრაილის მჴედრობისა ქრისტესისა დაცემად უცხოთესლთა ზედა და განიმტკიცე მარჯუჳნე ეგე მარჯუჳნითა მამისა მჴედომარისათა, რომელმან ჰქმნა დიდებულ და ქებულ წარმართთა შორის სახელი შენი, ვითარცა პირველ დავით მამისა შენისა.

„აჰა იქმნა საშიშრად და საზარტეხოდ სახელი შენი შჳლთა ზედა წარწყმედისათა მტერთა ქრისტესთა, რომელნი მოსრნა კელმან შენმან და განაბნინა მარჯუჳნემან მტკიცემან.

„აჰა დიდ არს და ზესთა ქებულ სახელი მისი, რომელმან ინება ქებად საქმენი შენნი ერთა თჳსთა მიერ და დიდებად განგებულება თჳსი.

„ეჰა შენ სიმჴნისა ზღუდეო და ძლიერებისა შეურყეველო გოდოლო, შენ პირითა ღირსთათა და გონებითა ბრძენთათა და ენამზეთა მიერ ხარ საქებელ და არა ჩემებრ უღირსთა ენამოკლეთა.

„შენ სულითა საზეთა შემოსილთა კაცთა მიერ ხარ სამკობ და არა ჩემებრ მარტივ გონებათაგან.

„შენ შესაბამად მჴნისა მძლეველობისა შენისა გშუჳნიან შესხმანი და დიდებანი რიტორებრნი და არა ჩემებრ გონება და სიტყუა უძლურისა მიერ.

„შენ, მტილსა შინა სადავითნოსა აღმონაცენო რტოო ზეთის ხილისაო, რომელი აღიზარდე რწყუთა შიშისა ღუთისა სძისათა და განმტკიცდი მამეულისა ლოცვსა სანოვაგითა.

„შენ, ვარსკულაო ბრწყინვალეო სამყაროსა შორის იესესა აღმომჴვირვალო, რომელი ჰკრთი შორის მნათობთა ნაზავთა შენთა საჩინოდ მნათობად.

„შენ სირათა შენთაგან იუდითისა ბაკისა ლეკუად ლომისად მოჰსჩან, რომელ: „კელნი შენნი ბეჭთა ზედა მტერთა შენთასა“ (შეს. 49,8), შენ მიიღე პირმშოება განგებითა ღუთისათა შორის ძმათა შენთა.

„შენ იქმენ რქა ცხოვრებისა მამისა შენისა და შარავანდედ და დისკო სიკეთისა.

„შენ მახლებელ სახელოვნებასა ტომთა შენთასა ამისთვის აღგაგო მკლავმან მარჯუჳნემან მშკლდსა ძლიერებისასა და გტყორცა, ვითარცა ისარი, გულებსა მტერთასა და მოსრნა წარმართნი და დაეცნეს, და შემუსრნა შენ მიერ ზღუდენი უღმრთოებისა მათისანი, მით, რამეთუ ჯუარსა ქრისტესსა შეხებული ღუთისა შიშითა აღლესილი მახჳლი შენი. „შეირტყე წელთა შენთა, ძლიერო, შუჳნიერებითა შენითა და სიკეთითა შენითა, და გარდაავე და წარემართე და სუფევდი ჭეშმარიტებისათვის და სიმშჳდისა და სიმართლისა“ (ფსალ. 44,3). და მოაკლდა ბლაგუსა მახჳლსა მათსა, აღოკრდენ და დაინთქნენ განსაკრწნელსა მით, რამეთუ გიძღოდა სული ღუთისა და განმტკიცდი მარჯუჳნითა მისითა.

„ეჰა შენ, საუნჯეო მამისა შენისა საუნჯისა შიშისა ღუთისაო და სიქადულო ძმათა შენთაო, შენთა ერთგულთა გულებისა სიხარულისა ნათლისა შარავანდითა მზიურითა განმანათლ-ბრწყინვებელო, შენ შენთა მახლობელთა სიხარულისა სიმდიდრედ კმასაყოფელო, შენ უკუე მიემადლე ღუთისა მიერ ნიჭად უფასოდ მამასა შენსა და სიმდიდრედ მოუკლებელად და გოდლად და ზღუდედ უძლეველად მით, რამეთუ ჰპოვა მის შორის ღმერთმან სული შიშისა და გულისხმის ყოფისა, სული მონებისა და სული სიმართლით მსახურებისა ღუთისა, და ამით უკუჳ: „დიდ არს ზესთა წყალობა მისი“ (ფს. 107,4), რომელ ღრუბელთამდე არს სიმართლე მისი.

„ამისთვის უკუჳ, კელმწიფეო ჩემო, უხარის შენთა ერთგულთა გულთა თანა გულსაცა ჩემსა და აღმევსების სახლი შინაგანისა კაცისა ჩემისა სიხარულისა ყუავილითა და მადლობისა და ქებისა მიმრთმეველ ვარ იესოსადმი ჩემისა, რამეთუ ჰქმნა შენ მიერ საქმენი დიდნი: „დაიხსნა დავით მონა თჳსი მახჳლისაგან ბოროტისა“ (ფს. 143,10), და მოაქცია სიმჴნე შემოსილება ეგე შენი უვნებელ მამისა მიმართ ღვთის მსახურს.

„და შემდგომადცა „განძლიერდინ კელი შენი და ამაღლდინ მარჯუჳნე შენი“ (ფსალ. 88,12) და იქმენ მძლეველ ათასთა და ბევრის ბევრთა, ვითარცა სამფსონ უცხო თესლთა ზედა, და იყავ განმრავლებულ ბედნიერობითა და მძლეველობითა, და წელთა ჟამთა სიგრძითა უკუნისამდე“.

მ. ჯანაშვილი

*) იხ. „ივერია“ № 162.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 აგვისტო

**პეტერბურგი.** გენერალი ორლოვი განაგრძობს მოძრაობას ხინგანისაკენ, ხაილარში-კი მცირე მეციხოვნე ჯარი დასტოვა. კიახტაში კათაგანიდგან მოვიდა სამი ამერიკელი და ცხრა შეიციილი მისიონერი.

**ლორენცო-მარკეზი.** ბურებმა დასტოვეს მახ-დოდორპი და ძალით აიღეს ვატერვაალი. უმეტესი ნაწილი ლუი ბოტას ბანაკის ფარდულებისა და კარვებისა დელმინტუასთან ცეცხლმა გაანადგურა.

**რომი.** გუშინ სრულს მყუდროებაში დაჰკრძალეს გვამი მეფის ჰუმბერტოსი პანტეონში.

**მოსკოვი.** ვლადიმერ სერგეის ძე სოლოვიევი გარდაიცვალა.

**რომი.** 31 ივლისს, სალარიოს ხიდს ახლო რომიდგან რვა კილომეტრის მანძილზედ, ერთანეთს დაეტაკა რკინის გზის ორი მატარებელი. ერთ ამ მატარებელთაგანზედ იყვნენ დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე და მისი მეუღლე, რომელნიც უვნებლად გადარჩნენ.

მრავალის ხალხის თავ-მოყრისა გამო იძულებულ იქმნენ გაეგზავნათ ორი მატარებელი რომ-ფლორენციის გზაზედ, ისე რომ პირველს მატარებელს მეორე მიჰყვა უკან ათის წუთის შემდეგ. პირველი მატარებელი კასტელ ჯუბილეპთან შედგა ორთქლმავალის გაფუჭებისა გამო, მეორე, გაქანებით მოშავალი მატარებელი-კი წამოეწია და დაეტაკა. მეფე და დედოფალი მივიდნენ უბედურების ადგილს დილის 3 საათსა და 20 წუთს; დედოფალი დილის 4 საათზედ დაბრუნდა დიდის მთავრინა მილიცა ნიკოლოზის ასულთან ერთად კვირინალში; მეფე და დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე იქავე დარჩნენ და განკარგულებას აძლევდნენ შემწეობის აღმოჩენის შესახებ; ისინი დაბრუნდნენ კვირინალში დილის 6 საათზედ. ნამსხვრევებიდგან 12 მკვდარი ამოიღეს და 40 კაცამდე დაჭრილი ამოიყვანეს; დაშავებულთა ვინაობა ჯერ შემოწმებული არ არის.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭოში დელკასსემ წაიკითხა შანჰაიში მყოფ საფრანგეთის ელჩის დეპეშა, რომელშიაც ელჩი ხელ-ახლად აცხადებს შიშს ქალაქსა და იმის გარეშემო მშვიდობიანობის დარღვევის შესახებ. საფრანგეთის კონცესსიაში, თუ საჭიროება მოითხოვს, ზომები იქმნება მიღებული უცხო-ქვეყნელთა დასაცველად.

ტაკუდგან გამოგზავნილი დეპეშა, მიღებული 26 ივლისს, იუწყება, მოლაპარაკება მოხდა, რომელზედაც გადასწყვიტეს განაგრძონ პეკინისაკენ სალაშქროდ წასვლა. მეორე დეპეშა ინდო-ჩინეთის გუბერნატორისა იუწყება, რომ განმათავისუფლებელი რაზმი პეკინიდგან 25 კილომეტრის მანძილზეაო.

**ბერლინი.** გერმანიის გემი „გეფიონი“ 1 ივლისიდგან შანჰაიშია გერმანიის ინტერესების დასაცველად, „იმიტის“-იც იქ მიდის და ეხლა გზაზეა, ხოლო „შვალბე“-სა და „ზეეადლერ“-ს არასოდეს არ მიუღიათ ბრძანება შანჰაიში წასვლისა.

**ტიან-ძინი.** იანძუნთან ჩინელებმა, მცირე წინააღმდეგობის შემდეგ, ხესიუსაკენ დაიწიეს; იქ გადავიდა პირდაპირ პეიძიანიდგან მთავარი ძალა ჩინელებისა გენერალის მასა და ჩილის გენერალ-გუბერნატორთან ერთად.

**ლონდონი.** მკურნალების რჩევით, სალისბიური ვოგეზში წავიდა, სადაც ერთ თვეს დაჰყოფს და საქმესაც იქ განიხილავს.

**ტიან ძინი.** როგორც იუწყებიან პეკინიდგან, 20 ივლისს იმპერატრიცამ რამდენისამე დღის სურსათი მისცა ელჩებს. ლიპინხენმა ორი ბატარეია დასდგა ქალაქის კედელზედ საელჩოების ახლო და ორს დღეს ესროდა საელჩოებს ზარბაზნებსა და თოფებს.

**გონკონგი,** 30 ივლისი. 8,000 „შავის დროშისანი“ გავიდნენ ამ დღეს პეკინისაკენ. ადმირალმა ტანსუიტენმა იუნნანიდგან დეპეშა მიიღო პეკინში 10,000 კაცის გაგზავნისა.

**შანხაი,** 30 ივლისი. სიჩუანის ვიცე კოროლმა ბრძანება მიიღო პეკინიდგან, ძალა დაატანეთ ყველა უცხო-ქვეყნელებს დაუყოვნებლივ დასტოვონ კანტონის პროვინციაო. ინგლისის ელჩმა სკოტმა პირობადადებულ ნიშნებიანი დეპეშა მიიღო მაკდონალდისაგან 24 თარიღით შემდეგის შინაარსისა: „სასოწარკვეთილს მდგომარეობაში ვიმყოფებით. ათის დღის შემდეგ სურსათი უნდა გამოიგზავნოს. ჩინელებმა წინადადება მოგვცეს, მცველებით ტიან-ძინში გაგგზავნითო, მაგრამ ჩვენ უარ-ვყავით ეს წინადადება“.

**შანხაი.** 30 ივლისს, შაბათს, შუადღისას, მოკავშირეთა ჯარი პეკინისაკენ 60 მილის მანძილზედ იყო. ინგლისის მთავრობამ ვუჩათის ვიცე-კოროლს 75,000 გირვანქა სტერლინგი მისცა $4^1/_2\%$; ეს ფული საჭირო იყო, რომ ვიცე-კოროლს თავისის პროვინციის ჯარისათვის ჯამაგირი დაერიგებინა.

**ბერლინი.** ბურების დელეგატები

ფიშერი, ვილსი, ველმარანსი და დოქტორი ლეიდსი და საელჩოს მდივანი მეევნი პეტერბურგს წავიდნენ.

2 აგვისტო

**პეტერბურგი.** გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება: „წითელის ჯვრის ქონების გასაძლიერებლად საჭიროდ იქმნა ცნობილი დაწესდეს დროებითი გადასახადი იმ ბაშფორთებზედ, რომლებსაც საზღვარ-გარედ წასასვლელად იღებენ, სახელდობრ: უკვე დადებულ გადასახადის 10 მანეთის გარდა ამ ბაშფორთებს უნდა დაედოს დამატებითი გადასახადი წითელის ჯვრის სასარგებლოდ ხუთი მანეთი ნახევარ წელიწადში“.—გამოქვეყნებულ იქმნა მთავრობის დადგენილება, რომელშიაც, გერმანიის ფელდმარშალის გრაფის ვალდერზეეს ჩინეთში მყოფ ჯარის მთავარ-სარდლად ამორჩევის გამო, რუსეთის მთავრობის თანხმობაა გამოცხადებული. ბოლოში შემდეგი სიტყვებია ნათქვამი: „მაგრამ ამასთან მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ, აცხადებს-რა თანხმობას დაუმორჩილოს რუსეთის ჯარი გერმანიის ფელდ-მარშალის მთავარ-სარდლობას, ხელმწიფეს არა ჰსურს არაფრის გულისათვის გადაუხვიოს იმ პოლიტიკურ პროგრამმას, რომლის მთავარ კითხვათა გამო მოხდა შეთანხმება როგორც საფრანგეთთან, ისე სხვა სახელმწიფოებთან, რომ ერთად-ერთ რუსეთის სურვილს შეადგენს მშვიდობიანობის დამყარება და რაც შეიძლება ჩქარა კეთილ დამოკიდებულებათა აღდგენა მეზობელ ჩინეთთან. რუსეთი არ გადაუხვევს წინანდელ გზას, და ამბოხებამ ჩინეთში გინდაც რომ უფრო მეტი სამხედრო მოქმედება მოითხოვოს, იგი მაინც არ აუქცევს გვერდს იმ კაცთ მოყვარულ ანდერძთ, რომელნიც იმ თავითვე და ყოველთვის რუსეთის ჯარის სახელს შეადგენდა“.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იუწყება პრეტორიიდგან 31 ივლისს, რომ მეტუენი და კიტჩინერი ჯერ ისევ დევეტსა სდევნიანო. კიტჩინერი დეპეშით იტყობინება 1 აგვისტოს სპოლპლატსიდგან, რომელიც ვენდერსდორპიდგან 8 მილის მანძილზედ მდებარეობს, რომ წარსულ ღამეს დევეტმა ააფეთქა სამი თავისი ფურგონიო. სამოცმა ტყვე ინგლისელმა და ერთმა აფიცერმა, დევეტის ბანაკიდგან გამოქცეულთ, გადმოგვცეს, რომ შტეინს თვალ ყურს ადევნებენ და ბანაკიდგან გასვლის უფლებას არ აძლევენო. დევეტი იძულებული გახდა მიენებებინა თავისი სამხარ მასალის ერთის ნაწილისა და 30 მისუსტებულის ცხენისათვის. ტყვეებმა სთქვეს აგრეთვე, რომ მეტუენმა ერთი ზარბაზანი წაართვა დევეტსაო. გუშინ ყუმბარებს ესროდნენ მტრის მთავარ ჯარს. ბულლერის მიერ ჩრდილოეთისკენ გალაშქრებამ კარგი ნაყოფი მოიტანა: ერთი ფელდ-კორნეტი და 182 ჯარის კაცი ტანდერტონის რაზმისა დაემორჩილნენ.

**კონსტანტინეპოლი.** ვანში მყოფი ინგლისის ვიცე-კონსული იუწყება, რომ ვილაიეტში მგზავრობის დროს თავს დამეცნენ შეიარაღებული ქურთები, ამასთანავე დასჭრეს დრაგომანი და ბარგი მოიტაცესო. როდესაც ეს ამბავი მოხელეებს შეატყობინა ვიცე-კონსულმა, ჯარი იქმნა გაგზავნილი ქურთების წინააღმდეგ. ინგლისის ელჩმა პორტას მოსთხოვა დამნაშავეთა დასჯა და აგრეთვე წაღებულის ნივთების დაბრუნება.

---

პეტერბურგის ბირჟა, 1 აგვისტო.

| | მყიდველისა | | გამყიდველისა | | გაყიდულისა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| 5% ნ. მომგებიანი გ[illegible] ბის ფურცლები სახელმწიფო [illegible] დ - აზნაურო ბანკისა . . . . | — | „ | — | „ | 209 | |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — | „ | 89 | | — | „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — | „ | 101½ | | — | „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — | „ | 98½ | | — | „ |
| 5% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — | „ | 98 | „ | — | „ |
| 4½% იმავე ბანკისა | — | „ | 86 | „ | — | „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგ დოებისა . . . | — | „ | 98 | | — | „ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა. . . | — | „ | — | „ | 85⅞ | |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 317¾ | | — | „ | — | „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მოგებიანი ბილეთი | — | „ | — | „ | 269 | |

---

## ქართულის ენის საუნჯის მასალად

(შემდეგი *)

კ

კაკაროტი—ხმელ-ხმელი, ხეხელა. ქართ.

კაკრა—ფითრის ნაყოფი. კახ.

კანტალაობა—ქურდობა. ფშ.

კარგუნელა—კარგი. ფშ.

კარაქმდნარი—აუდუღებლად გადამდნარი ერბო. ფშ.

კარკაცაობა—გამჩვენეობა. ფშ.

კატალუა—მამლისგან დედლის მიალერსება დასაპეპლად. ფშ.

კეკლუცა—თავ-მომწონე ქალი. ფშ.

კიბურჭიანი—კლდიანი, ღადა-ღუდა გზა. ხევს.

კირჩხა—კახხა. ფშ.

კომიჭა—გოროხი. ფშ.

კომიჭელა—პატარა გოროხი. ფშ.

კუდურა—ბაყაყის შვილსა ჰქვიან, ვიდრე წყალშია და კუდი აბია. ფშ.

კუნტულა—უკუდო. ფშ.

კონთხუნჯი—გონჯი, მახინჯი. ქართ.

ლ

ლაქარდიანი ენა—ენა-წყლიანი, ენა-ტკბილი ფშ.

ლილარი—სურვილი. ფშ.

მ

მამის ცოლი—დედინაცვალი. ფშ.

მანჭი—გუთნის ხელის მოსაჭიდი. ქართ.

მაცრაცუნა—? „ციცაო მაცრაცუნაო,
რა კარი-კარსა სცურაო?“ ფშ.

მგელთკვერი—დიდმარხვაში იციან, მგლის კვერებს დააცხობენ ფშავში, მგლების მსგავსად, მერე ცერცვს დაჰხლიან დამბალსა, იმ მგელთკვერს წაიღებენ ბიჭები და ისარს ესვრიან. ვინც მოარტყავს, კვერიც იმას დაჰრჩება და ერთი ჯამი ცერცვიც. ფშ.

მგებრნი—ფშაველების რწმენით, კაცი როცა კვდება, იმის სულის წასაყვანად შავეთიდგან სულ ცხენოსანი ნათესაობა მოდის. იმათა ჰქვიანთ მგებრნი.

მელეშო—სამხრის სამხარი. ფშ.

მზეკაბანი—ყანას რო ქარი უქრის, აღელვებს და სხვა-და-სხვა ფერს იცემს.

„მომკალი უზანდარელი
შენ მოჰკალ, უთანელაო!
—არცა მე მოვკალ, არცა შენ,
მამულმა მოკლა, ველმაო,
მინდორში მინდვრის ნიავმა,
მზეკაბათ ქანებამაო.., ფშ.

მიდმორობა—გაზიდულობა.

მიწის ფუტკარი—მწერ.

მიწლიკონა—მწერია ერთგვარი. ფშავში რო იპოვონ, თუ მიწა არ გათხარეს და არ ჩაფლეს, არ იქნება. თან ასე ამბობენ:

„დევთა ხმა, გორთა კივილი,
მიწლიკონაი კვდებაო,
იმისი ფარი და ხმალი
ჩვენსა ბიჭებსა ჰრჩებაო“.

მლიაობა კუდისა—მელია ამლიავებს კუდსა. ფშ.

მორიგე—ღმერთი ცისა და ქვეყნის გამრიგებელი, წესისა და რიგის მიმცემი. ხევს.

მოსამატი—საყევრის დასაგრძელებელი მოკლე ღვედი. ქართ.

მოქრიახე—დაუდგრომელი. ფშ.

მურო ბალახი—წმინდა, ქალის თმასავით დავარცხნილი ბალახი. ფშ.

მუხშავი—წყალაა. ფშ.

მტავრო—მუჭა. ფშ.

მშხეპრი წვიმა—დელგმა. ფშ.

მცურავი—გველი. ქართ.

ნ

ნამგალა—მეზობელი მწყემსი. ფშ.

ნამარილევი—ადგილი, სადაც მარილი აჭამეს ცხვარს, ან სხვა საქონელს.

ნამწრევი—ხრსილი, ბუზების კვერცხები. ფშ.

ნამხრევი—ველი, რაც მთიბელს მიაქვს ერთბაშად. ფშ.

ნამხრევი—ვაზის რქა რქებზედვე ამოსული. ქართ.

ნაფუტკნი—უმამლოდ დადებული კვერცხი. ფშ.

ნაყევრალი—ხატის მიწებს ერქვა ფშავში დღეში რასაც ყვავარი ხარი მოჰხნავდა. სოფელი მოვალე იყო, ერთ დღეს ყველა მისულიყო და ეხნა ის ხატის მიწები. მერე ქერს დასთესავდნენ, სასოფლოდვე მომკიდნენ, მერე იმისას სასოფლოდ ლუდს ადუღებდნენ და დღეობა როცა მოვიდოდა, სასოფლოდ სვამდნენ.

ნაურვალი ცხენი—კარგად მოვლილი.

ნაწიდვარი—ცხვრის ნაბინავარი. ფშ.

ნაპრევიანი—დაპრილი. ფშ.

ნებალი-ნებანი—კაკლის გული. ქართ.

ნიავის დაყრა—სულის აღება ნადირისაგან.

ნიავისაგან ართვა—ნიავისგან მოტაცება. ხევს.

თ. რაზიკაშვილი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“, № 166.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებთ მე და ჩემი სამრევლო ჩვენის ღარიბის სამკითხველოს სასარგებლოდ შემომწირველთ, სახელდობრ, იოსებ ლექავას, რომელმაც შემოსწირა სამოცი ცალი წიგნაკები წმიდანების ცხოვრებიდგან: ნინო ქართველთ განმანათლებელისა, მარინეს, თეოდორას, თეკლეს, სოფიოს, სიმონ მესვეტისა, იაკობ დაჭრილისა, ესტატესი, პარასკევასი, ეკატერინასი, ალექსიანი, ანბანი მხატვრობით და ლოცვები; ტფილისის მცხოვრებელს რაჟდენ ფირცხალაიშვილს—ორი მანეთი, ბართლომე გერასიმეს ძე ჯორბენაძეს—1 მან.; ირაკლი ჯორბენაძეს—ათი შაური; კირილე ალექსანდრეს ძე ჯორბენაძეს და ზურაბ ჟღენტის—ორის მანეთის მასალა.

ზემო-ჩიბათის სამრევლო უსასყიდლო სამკითხველოს გამგე მღვდელი მოსე ჯორბენაძე

---


## განცხადებანი

გამოვიდა ახალი წიგნები:

ა) უკვდავთა ლ[illegible]ლადებანი

ფასი: ყდით 20 კაპ., უყდოთ 15 კ.

ბ) ქართული მწერლობა მე X საუკუნემდე, ფასი 40 კაპ.

გ) **Царица Тамара**, ფასი 50 კ.

დ) **Груз. обители внѣ Грузіи**, ფ. 25 კ.

ე) **Истор. груз. церкви**, ფ. 40 კ.

(20—უ.—17)

---

**ქუთაისის ჭაღაწიგ-ცემულ საზოგა-დოების საყურა-დღებოდ.**

ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო მაღაზია

ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა ქ. ქუთაისში

1 ივნისიდგან გადატანილ იქმნა ახლად აგებულ თავად ალფონს თუმანიშვილის შენობაში. გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხე, ბულვარის პირდაპირ. (30—ნ.—29)

---

**მკურნალი**

**ვ. ვ. წერეთელი**

იღებს

შინაგან და ბავშვების სნეულებით ავადმყოფთ დილის 9—12 საათამდე. და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: ელისაბედის ქუჩა, № 27, ჯაფარიძის სახლი. (უ)

---

**აბრეშუმის ქსოვილები**

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—**ცხვირსახოცები, შარფები**, თეთრი და ფერადი ქსოვილები **ქალისა და კაცის** ტანისამოსისათვის როგორც **საპირე**, ისე **სარჩულები**. იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფობითა და ნაჭრობით.

(50—ნ.—ნ) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

---



**რა უპირატესობა აქვს სხვა საზოგადოებასთან შედარებით**

**ნიუ-იორკის**

**საზოგ დოებაში სიცოცხლის დაზღვევას?**

ის, რომ ეს საზოგადოება ერთი უდიდესთაგანია და სანდოა დედამიწაზედ.

ის, რომ იმისი აქტივი 416,773,000 მანეთს აღემატება.

ის, რომ „ნიუ-იორკის“ საზოგადოება საურთი-ერთოა და იმისი თანხები და მოგებანი დაზღვეულთა საკუთრებას შეადგენს.

ის, რომ „ნიუ-იორკს“ საპატიო წარსული აქვს, 54 წელიწადი არსებობს, რომლის განმავლობაშიაც იმის საფინანსო ძალა და წარმატება პროგრესიულად იზრდება,

ის, რომ იმის პოლისები ნაღდი და ეჭვ შეუტანელია, თუ პრემია თავისს დროზედ იქმნება შეტანილი, საზოგადოება დაუყოვნებლივ და უდავოდ იხდის დაზღვევის გადასახადს და, ამ რიგად, დამზღვევს სრული იმედი უნდა ჰქონდეს, რომ იმისი ქვრივი და შვილები ანუ კანონიერი მემკვიდრენი უდავოდ მიიღებენ თანხას.

ის, რომ იმისი პოლისი სამის წლის შემდეგ დაურღვეველი ხდება იმ შემთხვევაში, თუ შეჩერებულ იქმნა პრემიების გადახდა, დაზღვევის წინ-ნდელი თანხა მაინცა რჩება რამდენისამე წლის განმავლობაში უხარჯოთ, ანუ დამზღვევს შეუძლიან მიიღოს დაკლებულის ფასით სრულად ფას გარდახდილი პოლისი იმავე პირობებით, რა პირობებითაც პირველი პოლისი იყო, ანუ, დასასრულ, შეუძლიან ნაღდ ფულად მიიღოს პოლისის ფასი.

ის, რომ თუ პოლისი ძალაში იქმნება სამი წლის განმავლობაში მაინც, დამზღვევს შეუძლიან მიიღოს საზოგადოებისაგან სესხი წლიურის 6%-საგან.

ის, რომ „ნიუ-იორკის“ საზოგადოება ისეთს პოლისებსაც იძლევა, რომლის ძალითაც, დაზღვეულის თანხის გარდახდის გარდა, მემკვიდრეებს დაუბრუნდებათ დაზღვევისათვის შეტანილი ყველა პრემია იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი გარდაიცვლება ხელ-შეკრულობით დადებულ ვადის—10, 15 ან 20 წლის,—განმავლობაში.

ის, რომ „ნიუ-იორკის“ საზოგადოებას სამუდამო წინადად შეტანილ 500,000 მანეთის გარდა, საპრემიო ფული რუსეთში დაზღვეულთა დასაკმაყოფილებლად შეაქვს სახელმწიფო ბანკში. ამ ჟამად განსაკუთრებული ფონდი შენახულის ფულისა „ნიუ-იორკის“ საზოგადოებაში იმ დაზღვეულთა, რომელნიც რუსეთში სცხოვრობენ, 9,053,000 მანეთს აღემატება.

ის, რომ „ნიუ-იორკის საზოგადოების მოქმედება რუსეთში რუსეთის მთავრობის კონტროლის ქვეშ იმყოფება, ასე რომ პოლისები ყოველის მხრით უზრუნველ ყოფილია.

ის, რომ ყველა დასახელებულ პირობათა გამო, „ნიუ-იორკის“ საზოგადოების პოლისი არც ხარჯს შეადგენს და არც მეტ რასმეს დამზღვევისათვის: იგი საუკეთესო ქონებაა, რომელიც ყველას შეუძლიან დაუტოვოს თავისს ოჯახს, რადგანაც იგი შეიძლება ფულად იქმნას გარდაქცეული და ისეთ დაბრკოლებას აცილებულია, როგორიც მიწის ან უძრავ ქონების რეალიზაციის დროს ხდება, და აგრეთვე ბირჟის ცვალებადობას არ ექვემდებარება.

ის, რომ „ნიუ-იორკის“ საზოგადოება ერთად ერთი დაწესებულებაა, რომელიც აზღვევს სიცოცხლეს ყველა ზემოდ დასახელებულ უპირატესობით.

მთავარი გამგეობა რუსეთისათვის: პეტერბურგი, მალაია მორსკაია, 12.

საზოგადოების საქმეთა მთავარი გამგე რუსეთში პ. პ. მელლერია.

განყოფილება ტფილისში: გოლოვინის პროსპექტი, ახალი სახლი არაფელოვისა (კადეტის კორპუსის პირდაპირ)

(12—50—11)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 2-го Августъ 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე